# შრომითი ხელშეკრულება N03

დ.ლენტეხი „–01–" „იანვარი———" 2023წ

**მუხლი 1.. კონტრაქტის მხარეები და მისი იურდიული სტატუსი:**

1.1 წინამდებარე შრომის ხელშეკრულების (შემდგომში-„ხელშეკრულებას") მხარეები არიან ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში „დამსაქმებელი"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი გაზდელიანის სახით და მეორეს მხრივ მოქალაქე: – დალი ლიპარტელიანთან(პ/ნ 27001006056) (შემდგომში დამსაქმებელი).

1.2 ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის (შემდგომში „კოდექსი") საფუძველზე და არეგულირებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წარმოშობილ შრომით და თანმდევ ურთიერთობებს.

1.3 დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა ხელშეკრულების ძალასი შესვლის დღიდან.

**მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი**

2.1 ხელშეკრულების საგანია მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის ანაზღაურების სანაცვლოდ სამუშაოს შესრულება.

2.2 მოქმედი კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების ფარგლებსი დასაქმებული შრომით საქმიანობას ახორციელებს ლენტეხის

მუნიციპალიტეტის საკრებულოში , აპარატში, როგორც დამხმარე მოსამსახურე, კურიერი თანამდებობაზე საკრებულოს დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

**მუხლი 3 დამსაქმებლის უფლება-მოვალეობანი:**

3.1 გააცნოს დასაქმებულს შრომის შინაგანაწესა.

3.2 გადაუხადოს დასაქმებულს შრომის ხელფასი თვეში: 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

3.3 შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითიურთიერთობა.

**მუხლი 4 დასაქმებულის უფლებამოვალეობანი.**

4.1 მოითხოვოს და მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური შრომის ანაზღაურება.

4.2 კეთილსინდისიერად დროულად და საკუთარი პასუხისმგებლობით შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუსაო, ასევე დამსაქმებლის მოთხოვნები მითითებები და დირექტივები (ზეპირი ან წერილობითი) თუ ისინი არ ეწინაარმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

**მუხლი 5 ხელშეკრულების ვადა**

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2023 წლის „01" „იანვრი"- დან და მოქმედებს 2023 წლის „31" „დეკემბრამდე".

5.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია დამსაქმებლის ბრძანებით. დასაქმებულის თანხმობა შრომითი ურთიერთობის ვადის გაგრძელებაზე დასტურდება ხელმოწერით.

**მუხლი 6 დასკვნითი დებულებები.**

6.1 ხელშეკრულება გაფერმებულია ორ ეგზემპლიარად ერთი ინახება დამსაქმებელთან, მეორე დასაქმებულთან. ორივე ეგზემპლიარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

6.2 ქვემორე ხელისმომწერი მხარეები ადასტურებენ თანხმობებს წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსზე.

**დ ა მ ს ა ქ მ ე ბ ე ლ ი**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: /გ. გაზდელიანი/

**დ ა ს ა ქ მ ე ბ უ ლ ი**

დ. ლიპარტელიანი